

დღისმეცხე

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი

ბაზენით ტფილისში და გარე ადგილებში: 7 მანეთი — 6 მანეთი, 50 კ. ნახევარის წლისა — 4 — 3 — 50 კ. სამის თვისა — 2 — 50 კ. — 2 — 50 კ.

კალკეთის ნუმიონის გაუზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევებით.

ტფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მედიკოსი შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბუბუთოვის სახლში, ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესით: В. Тифлиси. В. Контору редакции грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **ბანსადავა** სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულად ბრიგის ასთავით გაზეთის სტრუქტურაზე 8 კაპ. ცხელდება.

ბანსადავა „დროებას“ გამოცემაზე

1869 წელში.

1869 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემლის ხელში.

ხალის-მოწყობის ფასი:

გაზეთით ტფილისში და გარეშე ადგილებში გაუზავნელათ ერთის წლისა — 7 მანეთი — 6 მანეთი. ნახევარის წლისა — 4 — 3 — 50 კ. სამის თვისა — 2 — 50 კ. — 2 — 50 კ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევებით.

ხალის-მოწყობა:

ტფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში მედიკოსი შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბუბუთოვის სახლში, ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესით: В. Тифлиси. В. Контору редакции грузинской газеты „ВРЕМЯ“.

შინაარსი:

მისი მოლოდინი რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს შუა აღმოსავლეთის საქმეზე. პოლიტიკა. — პარტია. — ტელეგრაფები. — დროების კორრესპონდენცია: შუაღოსიდან. საპოლიტიკო და საზოგადო ცხოვრება სერბიისა. — რამდენიმე სურათი მოთხრობიდან „ბერიტა“. — ლექსები: — მკვლევარსაგან.

შუა ბატონოთუო თაყის თხზულებაში, რომელიც აღწერს ომის მოლოდინსა მეროპასა და მსმალეთს შვერთებულის ჯარისას რუსეთზე, ამბობს:

მისი მოლოდინი რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს შუა აღმოსავლეთის საქმეზე.

„ძვეკასის“ გაზეთში დაბეჭდილი იყო ეს სტატია, რომელიც შეეხება ჩვენს მხარესა და ამიტომ ჩვენც ვებეჭადეთ „დროებაში“.

„ამ გვარი შვერთებულის ჯარი რასაკვირველია აირჩევს გზას რუსეთზედ მისასვლელათ იმის სამხრეთის სამძღვრებიდანა, ე. ი. ნიკოლაევიდან, შირიმლიდან ანუ ყველაზედ უფრო ადვილათ ძვეკასიდან. არ არის საფიქრებელი, რომ ისინი გამოეკიდნენ შავი ზღვის მინდვრიანი პირის დაქერასა, თუმცა ეს მინდვრები მსმალეთს დამოადგებლათ აგრე-

რამდენიმე სურათი მოთხრობიდან.

„ბერიტა“

V

შუა დღე იყო. მზე თან და თან უფრო აქვრდა. შიკინობელას ჰიკინით იქაურობა ჰქონდა აკლებული. ჰურძნის ტენები რთხმელისა და ენახის ფოთლებში ლამაზათ გამოსკვერდნენ. „შურრრ!“, — „შურრრ!“, — „შურრრ!“ — გაჰქონდათ შაშვებს, როდესაც ერთი ხიდან გადაფრინდებოდნენ მერე ხეზე და ამასთანვე დაატანდნენ „ჩუპ, ჩუპ, ჩუპ!“ — თითქოს ერთმანეთს ეუბნებოდნენ: დაჩუმიდით, ბევრს ნუ დაფრინავთ, თორემ ბაკურიძემ თუ გამოიღვიძა, ყურძნის კამას დაგვამწირებს... სხვა წერილმანი ჩიტების ქლივილი მოუწყვეტლათ ისმოდა. ასის წლის მუხის ქვეშ ბაკურიძეს გაეფინა ხალიხა და პერანგის ამარა ჰგორავდა. შეხით ბატარა ბიჭი უჯდა და ნეშოთი ბუხებს უგვრებდა, თუმცა ისინი კი თავისუფლათ დაცოცადენ ბაკურიძის ტრეტელ ფეხებზე. ის იყო, ბატონს გამოღვიძებოდა და თვლებზე ჩამოშვებული შეჩერებოდა თავის ტიტველს ფეხებს. ამდროს ბატარა ბიჭმა მიწამდის დაუკრა თავი ბაკურიძესა, რომელმაც მოწყალეობის მაგიერად ფეხის წვერი ჰკრა თავში. ბატარა ბიჭი გაფრთხილებული წამოვიდა და მოჰყვა თავისა და ტანის ფხანვას. — „წადი შე ძილის გულა, წყაროს წყალი ამოიტანე“ — შესძახა ბაკურიძემ და პირი გაწვლაკუნა: ეტ-

ყობოდა, რომ შუადღის ძილს შემდეგ პირი გაშრობოდა და ცივი წყაროს წყალი ტბილ შარბათად მიანდა.

ამდროს საიდამლაკ იყო, მოვიდა მოურავი და ბატონის ცხვირის წინ გამოიკიმა.

— შიუკელა, რას იტყვი, კარგს? — დაწყნარებით ჰკითხა ბაკურიძემ თავის მოურავს.

— ამისთანა უბედურობა არ ნახულა, ბატონო, რაც მე დამემართა! ხულაში წვედი: პეტრიელა მინდოდა მენახა. აგი მერე დღეა, არ მიეკარებივარ. მარამ შენს მტერს, რაც იგი იქნა აღარ დამიხვდა... ხულის ჰერი აუყრია, ხელიკავით გამძვრადა ძირს და საცხა წასულა, კაცმა არ იცის!

— რას ამბობ! — როდის მოხდა მაგი?... შესძახა ბაკურიძემ და სწრაფათ წამოჯდა.

— ამალამ თუ მოხდა, თვარამ გუშინ ხულაში იყო, მე ეს კარგათ ვიცი.

— მერე არ გაფრინე ვინმე იმის დასაქერათ? — ჰკითხა სიფრავით ბაკურიძემ.

— სად უნდა გამეფრინა? ბლაგვადის ბიჭი მოვიდა ქ — დგან და იმან თქვა, მე იგი ვნახე, რომ ქალაქის გზაზე მიდიოდა.

— წადი და სივი კულში! — გაცხები წამოიძახა ბაკურიძემ, რომელსაც თვლები დაუსისხლიანდა და ჯავრით არ იცოდა, რაქნა... ხომ გითხარით, რომ მე პილწ საძაგელისგან ხერი არ გამოვა — თქვა... დეიკარა იგი ჩვენს ხელიდან... მაგას აწი ჩვენ ხელს ვეღარ მოეკიდებთ... არა, მარტომო, მაგი არ არის დანაშაული ამ საქმეში... მაგი-

თვე არა მგონია, რომ შვერთებულის ჯარი წავიდეს ხმელეთით მეროპის მსმალეთიდან, ღუნანის ბოლოდან რუმინიაზე და ბესარაბიაზე; ის ამიტომ უფრო, რომ ამათ აქესთ საგნათ ახალი რუსეთის მხარე და რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი. ამ მხრიდან თუ იქნება მოქმედება, ისიც უბრალოა. უფრო მისაშველებლად პირველი ჯარისათვის, რომელიც მიმართება აესტრიის სამძღვრებიდან პიეზვად. მითონ შირიმის მიმართაც არ არის საშუალო შვერთებულის ჯარისათვის, მას შემდეგ რაც სევასტოპოლის ომის პორტი მორშალა. ძვეკას რომ მიმართონ ის სულ სხვა იქნება; იქ მოკავშირეთ ექმნებათ საგანში მოსწყერტონ რუსეთს მთელი უკანა ძაქასის სამპრობელოები, რომლებსაც მისცემენ მსმალეთს და სპარსეთსა, ანუ ამათგან შეარდგენენ რამდენსამე საკუთარს მფლობელობასა, რომელიც იქმნება მეროპის პაკას ქვეშა. ამის გამო ესენი შეიქმნებიან საგანდ ჩხუბისა სამს სახელმწიფოს შუა; მაშინ მეროპას ექმნება საბუთი შვერიოს ხოლმე საქმეებში და დამყაროს მათზედ თავისი გონებითი და აღებმიცემის მხრივ განვლენა. (შვერდი 56-56 Воен. Сборник, 1868-ს წლისა).

მაშასადამე სჩაფს, რომ ა... იცოდა, ლობა ომის თეატრისა უნდა მიეცეს აქეთა ძვეკასსა (აკაკიანზე) შემდეგ ავტორი ამბობს: მტერმა, რომელსაც უჭირავს ხელში ზღვები და დიდი ძალი ხმელეთის ჯარი, და რომელსაც აქეს აზრში რუსეთისაგან წართმევა ძვეკასის აქეთა მპრობელობისა, უნდა აირჩიოს მისვლისათვის ამ სამი გზიდან ერთი:

1) ტრაპიზონიდან აზრუმზედ, მერე შა-

სსზედ და მივიდეს ალექსანდროპოლზედ, ანუ მოუაროს, ან მარცხნივ ან მარჯვნივ

2) ბათუმიდან აჭარის ხევის ღელე-ღელე ახალციხის მინდვრებს გამოვლილი ხულაზედ; და არტაზანიდან ახალციხეზედ ანუ ახალქალაქზედ, მერე გადმოიაროს ღუნანბორებზე, ღუნანის მინდვრებზედ და მოვიდეს ტფილისზედ.

3) აღმოსავლეთის ზღვის პირს გამოსულთნი რომელსამე ალაგს ბათუმიდან დაქერილი შოთში ანუ სოხუმში, იელის რიონის პირებში, მერე წამოვა შორაპანში, სურამში და მერე ტფილისზედ მოვა; აქედან მერე გადვიდოს დიდს მთასა მლადიკავიის გზაზედ.

1) პირველი გზა ძალიან გრძელია; ამასთან ძნელიც არის ბარგი ბარხაიან ჯარისათვისა, ბარდა ამისა ტრაპიზონის პორტი მიდგომისათვის არ არის ეარვისი და ხომალდების დასაბმელათაც არ ეარვა. მქ მტერს დახვდება წინ მხოლოდ ერთი რიგისი ციხე ალექსანდროპოლისა და შემდეგ ტფილისის გზაზედ დილიჯნის ღელე, სადაც ძალიან კარგი შესამაგრებელი ადგილი არის. მთუ ამ სიძნელის ადგილებს ასცდება მარჯვნივ, მრეფისაკენ, მაშინ მტრის მოქმედება იქნება უბრალოა, ანუ იქნება საგნათ შიხილბაშებთან ერთათ მოქმედება. მთუ მტერი მიმართება მარცხნივ ახალქალაქზედ ანუ ღუნანბორებისკენ, მაშინ ეს იქნება მერე გზა.

2) ბათუმს თუმცა ბატარა ადგილი აქვს, მაგრამ სევასტოპოლს შემდეგ უკეთესი პორტი არის შავი ზღვისა. ბათუმიდან ხულაზედ გზა დაიწყეს პირველს აღმოსავლეთის ომის დროსა და რადგანაც ახლა დიდი ომის მოლო-

სი შინაურობა უფრო დანაშაულია... ტუპ, ტუპ, ტუპ... სულ ის არის, ის უნამუსო დედაკაცი, მაგისი დედა! იმან ააგულიანა უფრო... მიაიციადო, მე იმას ვაჩვენებ, როგორც უნდა გაგულიანებო... მოურავმა იგრძნო, რომ ამ გაბრაზებული ვეფხის ჯავრი პეტრიელადგან თან და თან იმის სახლობაზე გადადიოდა. იმან კარგათ იცოდა, რომ ბატონის ვაი-ვაგლახი სულ პეტრიელას სახლობას დააწყებოდა, რადგან თვითონ იმის თვინ ხელი იერ მოეკიდნათ, „ბატონის ჯავრი მტრის კარსა“, იფიქრა გულში მოურავმა. იმას შეეცოდა პეტრიელას სახლობა, რომელიც შვილის გადავარდნითაც ისე გაუბედურებული იყო, რომ ბატონის რისხვა აღარ ეჭრებოდა. ამის გამო მოურავი ცდილობდა სიფრთხილით აემორებინა ბატონის წყრომა პეტრიელას სახლობაზე.


— დედა იმისი სულ თმას იწეწდა! იმ ღეთისგან დაწყვეტილია, რაფა გაბედა ბატონის ურჩობაო. ის დღე რეტოპ არ დიქცა, რადღესაც მე იგი დამებედაო. იმის ბარობით ჩვენც უნდა დაგვემდუროს ბატონიო. რატომ სულ სისხლი არ ადინა ცხვირ პირში იმდალოცვილია, რატომ სულ არ მოკლაო... დაუწყოა გამართლება მოურავმა პეტრიელას დედას.

— ნუ, ნუ, ნუ გამახსენებ იმ კულანს იმას! — შესძახა გაბრაზებით, სულ მაგია დანაშაული. მაგისთანა პილწი და უკმეზო სახლობა ჩემ კაცებში არავინ არის. ბარე ორჯელ დევი-

სადილებ მაგათ ზურგზე. ძალიან გაუმსხვილდათ კისერი. მთუ მაგრე ადვილი იქნა გადავარდნა, ან ერთი ბიჭი რალათ დადგება ჩემთან. პიკვრენ ბარგს და ყველა წავა. ბრა, შე მაგათ უნდა ვაჩვენო, თუ რა ძნელია გაქცევა... შიუკელა, გესმის!... ხელდე ამომიყვანე ძრხხა პეტრიელას სახლიდან. წუგეშიონია, ჩემ მეზობლებს არც ერთი ლუკმა არ გადარჩებათ იმ ძროხიდან. მოგეცა სიცოცხლე მე ისინი დავაძლო... ტყუილანუ ელის პეტრიელას სახლობა, რომ მარტო ამითი გადამჩრჩენ... რა ბძანება, ბატონო, ისინი კილო უფრო ჯავრებენ პეტრიელას გაქცევას, საწყალო დედა ამბობდა, ნეტავი ტყავიც გაეძრო ბატონს იმ საძაგლისთინაო... შენ იგი გეიგონე, რასაც გეუბნებიან. ბიერს ნუ ლაპარაკობ, გესმის! — უთხრა ბაკურიძემ ასეთი ხმით, რომ მოურავს ლაპარაკის მადა წაერთო და აჩქარებით მიამხა. — მესმის, შენი კირიოე... — ში, ეი, ეი, — დაიწყოა ყვიროლი ბაკურიძემ, როცა შეხედა, რომ სიმინდის ტაროებს კისერმოხეხილი ღორები მისცივოდნენ და სკამდნენ. — ღორებმა სიმინდი შეჭამეს! — არიქა, შიუკელა, გაფრინდი, გარევე; ძაღლები მიუსიე, ძაღლები.

— მთ, თუ, თუ, სიპ, სიპ, სიპ, — ისმოდა ხმა მოურავისა, რომელი ძაღლებით უკან მისდევდა დაფთვებულს ღორებსა.

— ჰაი, ვე საძაღლები... ვინ ვაძლო მაგ კიშკარი... ჩვენი გოჭები ვინა? — ჰკითხავდა



დინი არის, ამ გზას გაათავებენ. თუმცა ამ გზის მიმართულება აქარის ხევის დღეში არის რუსის სამხედროს გასწვრივ ბურიაში, მაგრამ აქარის მთის გადაუღებლობა სამყოფად ჰქარავს მარცხენა მხრიდანა. შვი მთების გადასასვლელიდან მიდინ ბევრი გზები ახალციხეზედ ახალციხის სწორედ მალაოზზედ. აქედამაც რამდენიმე გზა მიდის წერილ მთებზედ: **თრიალეთზე** და **შარა-ლაჯზე** ანუ **ლორის** მთებზედ, რომლებს უკან ეს გზები იყრებიან ერთად. ეს ადგილი არის სიახლოეს სამის მახრისა: **წალკისა**, **ბაშქინეთი** და **მორაონკოეკისა**, რომელთაგანაც გზები ჯერ სცილდებიან ერთმანეთსა და მერე იკრიფებიან **თფილისის** სიახლოესა. მამას-დამე ეს სამი მხრა არის პირველი გზები, რომელთაც მიჰყავთ აქეთა ძავეკაზის შუა გულში. მარა ამისა აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ **წალკიდან** კარგი გზა არის, რომელიც ბორჯომიდან სურამში გადმოდის (40 ვერსი), და **მარანკოეკიდან** **ალექსანდრეპოლში**: ერთი გზა **წალალ-მღლიზე** და **ბერგოზე**, მეორე სწორედ **ალლანის** მთის წვერზედ.

ამ აღწერილგანა სჩანს, რომ მეორე გზა სჯობია ჩვენზედ მოსვლისათვის. ამ მხრიდან მოსულს მტერს უჭირავს ზღვა და კარგი პორტი და ძალიან მოკლეს გზით მოდის **თფილისზედ**, რომელიც შეადგენს პირველს საგანსა, რუსის სამხედროში ამ ადგილას ბევრი კარგი და სწორე გზები არის; რადგანაც აქ არ არის მაგდენათ ხშირი მცხოვრებნი და არც მაგდენი ღირდონი მთები, ამიტომ აქ მტერს შეუძლიან ამოქმედოს და ატაროს დიდი რიცხვის ჯარები. მარა ამისა აქ სულ თათრები სცხოვრებენ, რომელიც შევა თუ არა მტერი, მაშინვე იმათკენ გადავლენ.

მესამე მტრის გზა რომ გაეშინჯოთ, არ შეიძლება, არ დაეთანხმდეთ იმაზედა, რომ ის ყველგან რუსის ნაწილს ზღვის პირში გამოაოთათონიანა... მაგრამ ვერსად კი იზრის ვერც რიგიან პორტსა და ვერც ბარგის გამოსახიდა და ვერც ზღვის ჯარის დასადგამსა, რომის პირებიდან რომ დაიწყო მტერმა, მაშინ შეუძლიან გამოიტანოს თავისი ბარგი და სხვა მოსაშველებელი ჯარი გემებით რომ წაიპროდონ; მაგრამ აქ ცუდი ჰავა ავებს იმათა და არც იქაურნი ხალხნი იქნებიან იმათკენა. არა

მგონია თუ **მორაონის** სიმაგრეებმა გაუძღეს ახლანდელს ფლოტის დასანგრევლს საშუალებებსა; მგონია, რომ ადგილი ასაღები და იმათი პირველის გამარჯვების გათქმის საგნათ უფრო გახდეს. მარა ამისა შეიძლება, რომ მტერი **მორაონში** არც კი მივიდეს, ამიტომ იქ ბევრი ჯარის დაყენებაც არ შეიძლება. მერე მუთათის დაბრკოლებს მაგდენად მტერსა, მაგრამ მიდინარები კი, რომელიც ერთიან რიონსა, კარგად დაბრკოლებენ მტერსა და კარგი მოსაგვრებელი ადგილებიც არის იქა პირველი შესამაგრებელი ადგილი კი უნდა იყოს სიმონეთისა და **მორაონის** შუა, რომელიც წინათვე უნდა აირჩეს და გამაგრდეს ყოველის შესამაგრებელის საშუალებათა. აქ ამისთანა ადგილები არის, რომ საომრად სხვა ადგილა ვერ შეედრება. **სტრატეგიული** იმისი მნიშვნელობა ხომ ცხადდ სჩანს: უკანდგანა აქეს სწორე გზა ქალაქზედ; მარჯვითა ოსეთის საომარი გზა; მარცხენი, სურამის უკანდგან მოდის ახალციხიდან ბორჯომის ხევი გზა, რომელსაც ერთის **წალკიდან** სწორე გზა. ბოლოს ამ ადგილის წინ არის მუთათის დიდი გზა და მეორე **მორაონი**დან რიონის მარცხენა პირზედ: ეს გზა გადმოდის ზღვადზე და ამას ერთის გზა ბურისა საჯავახოზე გადმოსავლელი.

მორაონის შესამაგრებელს პოზიციის შემდეგ, შეიძლება მტერი მოიგვროს 200 ვერსის სიგრძეზედ; ჯერ სურამის ჩამოსაქანზე, მერე მტერის ხეობაში და ბოლოს იქნება ერთი უკანასკნელი ომი, **თფილისის** სიახლოესა, რომელიც გადასწყვეტავს აქეთა ძავეკაზის ბედსა.

რასაკვირველია მტერი არ იმოქმედებს ერთს მახრებზედ; უეჭველად დაიწყებს ომს სამსავეზედ ერთს დროსა. მაგრამ ერთი მხრა იქნება თავი, რომელიც უფრო ადვილად ეჩვენება და რომელზედაც იმოქმედებს ბევრინაწილი და უნდა იქნება შუალაღი.

ამ მტრის მოსვლის გზების განხილვიდან გამოდის საერთო პლანი, რომელიც უნდა მიიღონ რუსებმა. მაგრამ ვიდრე ამას აღწერილეთ, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ რომელიც სტრატეგიული მოაზრება, რომელიც უნდა მიიღონ ყოველს შემთხვევაში, როგორი მიმართულებაც უნდა მიიღოს მტერმა.

ბაკურიძე მოურავს: — სწორეთ მელორე სადმე შინდორში ედგება; ღორები კი ასე უპატრონოთ დაუტრავებია! იმათგან ხეირს ნუ მოელო, თუ ყოველთვის ცხვირში მუქს არ ურტყამ... შეუკვლა, ჰიშკარი კარგა მიკეტე... სხვა ბიჭები სად არიან? — გაჯავრებით ჰყვიროდა ბაკურიძე. — რა ამბავია, რომ ერთი არავინ ჰქაჩანობს ამ ეზოში: სკამენ, სმენ და ძილის მეტს არა აკეთებენ ეგ მამაობრები. — სწორეთ სადმე ეძინებთ ახლა!... შეუკვლა, წადი ერთი ვინმე ბიჭი მოძებნე. **თუ** დაძინებული სადმე ნახო, ერთი კოკა წყალი დაახსი თავზე... — ამისთანა ლანძღვით წინდა უკან დადიოდა მუხის ქვეშ ბაკურიძე, სანამდის თანდა თან არ დაწყნარდა. **ამ** დროს ბიჭმაც მიართვა ბატონს სურით ცივი წყალი. ის წყალს დაეწაფა და მერე დაუძახა თავის ქალს, რომელიც ცოტა მოშორებით ეზოში რალასაც აკეთებდა მარინესთან. **ბერიტია** გამოიქცა მამასთან და ჩუბტა კალთაში.

— **ბიტო**, სად იყავი? — ჰკითხა მამამ ალერსით და ლოყაზედ აკოცა.
— **მარინესთან** ვთამაშობდი.
— **ღედა**, რას აკეთებს?
— **ჰყვირავს.**
— **სანადიროთ** არ წამოხვალ, **ბიტო**?
— **კი წამოვალ**, — აჩქარებით მიუგო **ბერიტია**, რომელსაც თვალები მარინესკენ ეჭირა, ეშინოდა, მარინემ ნაფოტის სათამაშოები არ დაამინგროსო. ბოლოს დასხლტა მამას ხელიდან და გაიქცა იმასთან.

მზე გაღიხარა. ტბილმა სიომ დასავლით მოჰბერა და თან მოიტანა მინდვრის ყვავილების სუნი. დამავალის-მზის შუქი ოქროს ქსელსავით გაება მინდვრებზე და გველი ხის ჩრდილებით დახატა ის არე-მარე. შორს ახალციხის მთის ქედები გადმოჰყურებდნენ. შინ მომავალმა პირუტყვმა შეჰქმნა ბლაგილი, ხბორებისა და თიჯნების ძახილმა მაიკცა იქაურობა.

ბაკურიძე მოტრიალდათუ არა, მენიშნა, რომ სუნაგს ღორებსა და გოჭებს ხელ-მეორეთ გაჰქანდ-გამოჰქანდათ ეზოში სიმიდის ტაროები, და იყვირა: „კიდევ ღორები!... ჰიშკარი ვინ გააღო?... მრთველ არ მითქვამს და ათჯველ, რომ ჰიშკარს ნუ გააღებთ!... რომ არა ვშველათ რა ამ მამა ოხრებს, ვერ შევაგანე! სიკოლია, სიკოლია! — **ბასმხა** ბაკურიძემ.

— „**ბატონო!**“ — შორიდგან მოისმა მენახირის ხმა.

— **აქ** მოდი, შე საძაგელო!

ამ დროს ეზოში გაჩნდა ხუთი ბიჭი, რომელნიც ხან იქით დარბოდნენ და ხან აქეთ, რომ როგორმე ეზოდგან გადაერეკათ ღორები. მოვიდნენ ამთავანს თითო სიმიდის ტარო ეჭირა პირში და მიარბენებდა ეზოს გარეთ. რათიცი იქნა უღლიანი და კისერ გახეხილი ღორებისგან გადაარჩინეს სიმინდის ზინები.

ბატონის წინ წადგა დაბრკოლილი ტანსაცმლით ერთი გამხმარი თვალმ დადმოკარკოლი ბიჭი, რომელსაც ხელში გველი წნელი ეჭირა. **ცარიელ** ჰურტლიანი ძველი ხვირჯინი მხარზე ეკიდა და პირი დაეღო.

— **ღედა**, მთელი დღე სად ეგდე! — შეჰყვირა ბატონმა.
— **ღორებს** ეუღდექი, ბატონო — სწრაფად მიუგო მენახირემ და ხელში წნელს მარდათ დაუწყო ტრიალი.
— **მიცი** როგორც ღორებს უღდექი. — **ჯავრით** უთხრა ბაკურიძემ.
— **სულ** კბილები უნდა დაგამტერიოს კაცმა! — მუჭი ცხვირთან მიუტანა და გაჯავრებით უთხრა ბატონმა. — **იქნება** მაშინ გააკეთო რამე, თვარამ უთხროთ კაცის შვილს არ ჰგებნარ... **წადი**, უთხარი შეუკვლას (მეორე ბიჭს მიუბრუნდა), **ცვარი** ღვინო არ დააღვინოს ამ საძაგელს თვარამ ყოველთვის ღვინით თვრება ხოლმე და მინდორში ძინავს. ძალიან ჯავრი აქეს მაგას ღორების!.. (მენახირეს) **წადი**, წაეთერი შევეშაკის შვილო, — შეჰყვირა ბაკურიძემ და დაშვილდა.

ბინდი დაჰკრა. ბატონი ნელ-ნელა ადიოდა კბეზე შინ შესასვლელათ. შოში ალარავინ ჰქაჩებდა; მხოლოდ ხან-და-ხან რომელიმე ბიჭი გაიბრუნდა ერთი სახლიდან მეორე სახლამდე ან კოკა წყლით და ან სხვა რამესავთის. პომლი ბულქვად ავარდა სამხარეთლოს თავზე; ბატონისთვის ეახშამს ამხადებდნენ.

პირველად, რუსეთმა წინააღიდეგ, აუჩქარებლიე უნდა შეჰყაროს ჯარი, მოაგროვოს მილიტარა და შეამზადოს ყოველი საჭირო მოსაგვრებლად და საომრად; ასე რომ ყოველად შემზადებულმა ჯარმა დაუღელვლად დაიჭირონ დანიშნული საომრად ადგილები და იყვნენ სამყოფი რიცხვნი.

მეორედ, აგრეთვე წინააღიდეგ უნდა აშალონ და გამოიტანონ შავი ზღვის მხარებიდან, რომლებიდანაც კარგი გზები არ არის, გარნიზონი, ზარბაზნები, დაწყობილი სამხადისები, მაომრების სახლობა და იმათი მოძრავი საკუთრება.

მესამედ, უნდა დაიფარონ ოსმალოს ბაშობუშუყებისა და ქურთების დასევისა და ცრცვისაგან, რომლებიც იწყებენ თავიანთ თულაობას ომის გამოცხადებზედ ადრე. იმათ შემოსვლას და რცენას ყოველთვის ცუდი ზნეობითი მოქმედება აქეს ქრისტიანებზედაც და თათრებზედაც.

მეოთხედ, რუსის ჯარი უნდა დადგეს იმ გვარ ადგილებზედ და იქვე, რომ საცა მტრის ბევრი ჯარი მოქმედებდეს, რუსის ბევრმა ჯარმაც იქ იმოქმედოს.

მეხუთედ, პირველის ომითვე აღმოაჩინონოს მტერს, რა მიმართულებას მიიღებს თავისის მომატებულის ჯართა, ან საით უფრო იმოქმედებს.

შემდეგ აეტარი ჩამოსთვლოს ჯარებსა (რახმებსა), რომელიც საჭირო იქნებოდნენ ზემო აღწერილი აზრების აღსრულებისათვის, და ხსნის მოქმედებას ამ ჯარებისასა; ამ გვარადვე მოჰყავს და ჰხსნის მისასვლელს ომსა, რომელიც ჩვენ მოგვიხდება. იგივე გვაჩვენებს გზასა, როდესაც ყიზილბაში მიუღებება შეერთებასა.

ამ განსაზღვრებებზედ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ: 1) ჩვენა ვგონებთ, რომ მტრისათვის, რომელიც შემოვა აქეთა ძავეკაზში, სჯობდეს ოსეთის და საქართველოს საომარი გზით შემოსვლა. აეტარი ამბობს ქვემო ტუბანიდანაო, მაგრამ მაშინ იმათ უნდა გათხარონ პატარა რუ მაიკცა, რომ ასცდნენ ქერჩსა. 2) მრთი პირველთაგან გზა არის ისა, რომელიც ახლა თითქმის გაათავებულია; ეს გზა მიდის ლაბის დელეზე სოხუმისაკენ. ეს გზა მოგვცემს საშუალებასა გვაუქმოთ ყოველი მოქმედება მტრისა. **და 3) ამ** თხზულებაში

არ არის მიღებული აზრში აქეთა ძავეკაზში მცხოვრებლების გარემოება, რომელიც გამოჩნდება ომის დაწყებისავე დროსა.

ამას თქმა აღარ უნდა, რომ რუსებისათვის სიმკვიდრე და ერთგულობა არის ისევე აქ მცხოვრებს რუსებში; მაგრამ ეს არის გასაგები: აქეთა ძავეკაზში რამდენი რუსის მცხოვრები მოდის აქაურ მცხოვრებლებზედ? **და** ოსტანში რას სულ მცხოვრები ორმოცდა ექვსი ათასი, რომლის რიცხვში ხუთი ათასი რუსია. ბაქოს გუბერნიაში, რომელიც **და** ოსტანის ახლოს არის, სცხოვრებს აგრეთვე 40000 ხალხი, მხოლოდ აქ რუსები სამჯერ მეტია ე. ი. 15 ათასი. **და** ოსტანს აკრამს სამხრეთიდან 300 ათასი მთის ხალხი **თერგის** მახრისა, რომლის რიცხვიდან მხოლოდ მესამე ნაწილი რუსია ე. ი. 100 ათასი. მხოლოდ ერთი ტუბანის მახრამ არის 800 ათასი რუსი (სტავროპოლის გუბერნიის გარდა) და 72 ათასი მთის ხალხი. აქედამა სჩანს, რომ ძავეკაზის აღმოსავლეთის მხარეზე გვაყავს ერთ მილიონზედ მეტი მთის ხალხი. მარა ამისა ძავეკაზის მთაზედ გადმოსასვლელი გზები არ იქმნებიან მკვიდრი სფუძველნი ჩვენი ჯარის მოქმედებისათვის. ახლანდელი საუკუნის დაწყებაში იყო შემთხვევა ოსეთის აზუნტებისა, რომელიც თუმცა დაამშვიდა ცოტადღენმა ჯარმა, მაგრამ ამ ბუნტისგამო შეიკრა რუსეთისა და საქართველოს ერთმანეთში სატარებელი გზათიქმის ორთვემდინ და არც არაფერი მოდიოდა ამ გზით რუსეთიდანა. ჩვენის აზრით ჩვენს ხელში ახლა აქ არის ორი გზა, — ერთი სოხუმისა და **ლაბის** შუა და მეორე ძასპის ზღვის პირის-პირ. მრთი ცხებ სოხუმში, რომელიც იქმნებოდა მტრის ზურგისაკენ, სრულებით დაიცავდა ერთ ზემო აღწერილს გზასა.

ამასთან ეიტყვიოთ, რომ ჩვენ სრულებით თანახმა ვართ უფ. **შადვეეთანა**, რომელიც ამბობს, რომ ახლავე უნდა დაეყენოთ საქმეზედის გაუქმებული ნაწილი ხალხისა, რომელიც დარჩა ძავეკაზის ომის გათავების შემდეგ **და** ოსტანის მთებში და **თერგის** მახრამ; ამასთან უფ. **შადვეევი** გვაჩვენებს ამის საშუალებასაც.

ღო არის ვიმუშაო!
და ჩვენსა სამშობლოსა
ჩვენ სიკოცხლე შევიწით!
* * *

მიმუშაოთ ხელმობით,
მიმუშაოთ თავითა,
მიმუშაოთ ყოველთვის,
ღლისთა და **ღამითა!**
* * *

ნუ გგონია შენ, შრომამ
შროლოთ ჩავიაროს,
შენი ფიქრი ღუმლილი
შრავინ დაფასოს!
* * *

ნუ გაშინებს შენ ხალხის
შროლოთ და ცინება;
სოველთვის იქადაგე
მართო პატიოსნება...
* * *

მერე რაც გინდა მოხდეს,
შენ შენს ვალს აასრულებ!...
მიმუშაოთ ერთათა,
აბა რალას უუფრებ.
* * *

მიმუშაოთ ხელმობით,
მიმუშაოთ თავითა,
მიმუშაოთ ყოველთვის,
ღლისთა და **ღამითა.**
* * *

1868 წელსა 31 მარტს.

(მ მ უ ლ ე ვ ს კ ი დ გ ა ნ)
შუბღენი ივანე ქლიზბარის ძეს ქრისტავს.
ბავრ თენდებ; მამა!...

პოლიტიკა.

„დროების“ კორექსიონი

(მთაისი, მთაისის ბულვარი, — მართვლების ეკლესია — შინაგვების ეკლესია.)

პირველად რომ მთაისის შეხვედრე, მეგონა ტყეშია თქო ეს ძალაქი დაშენებული; თითქმის ყველა სახლს წინ თავისი ბაღია აქვს, დიდრონი ხეებით სავსე; მაინც იმერეთში ტყე ბევრი ყოფილა; ეტყობა, რომ კაცის ხელი აქ ჯერ აგრე რიგათ არ დასტყობია დედამიწის ზურგს. მთაისის პატარაა, მთაისის მეთაველი ნაწილიც ვერ იქნება, ქალაქათ ჯერ ეხლა კეთდება, კარგი შენობები ეხლა შენდება. მთაისის წმინდაც ქართველებს ქალაქია. მაჭრობა, ტანთ-ცმა, ენა სულ ქართულია, რომ კაცი კარგათ დააკვირდეს დასჯერდება, რომ ჩვენ მთაისელს ქართველებს უგრძობნათ ვაჭრობის სიკეთე და ელტვიან მას; განსაკუთრებით მეგრელებმა ლამის ვაჭრობის ნიჭი გამოიჩინონ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ! ვაჭრობა და სიმდიდრე ხალხის კეთილდღეობისათვის დიდათ საქირო არის. იმერლებს გამოაქეთ ბაზარში თავიანთი ნაკეთები გიშრის კრალისნები, საყურები, ღილები და ჰყიდიან, ეგრეთვე ჰყიდიან კარგს აბრეშუმს და ბამბას თავიანთ მოყვანილს; სხვას შესანიშნავს იმერლის ხელობიდან და მეურნეობიდან განსაკუთრებით ვერას ნახავთ. მიწის მოსავალი მთაისში ძვირია, მაშინ როდესაც იმერეთი ძრიელ ნაყოფიერი ქვეყანაა. მე გამოვიკვირდა, როცა ენახე, რომ ახალი ბაღები თითო მუჭის ოდენა კონებათ შეკრული, ისიც როგორც ეტყობა, სიმინდის პირებში მოგლ ჯილი, გამოაქეთ ილიით ბოვებებს ბაზარში და მამასისხლათ ჰყიდიან. საითაც მიხედვად, მთაისის არემარე გამოუსადევი ჯაგებით სავსეა; ხოლოთ ალაგ ალაგს მოჩანს პატარ-პატარა ჯაგებს და ხეებს შუა გატეხილი ანობები, სადაც ღობი ან სიმინდი არის მიტეხილი. მაკვირდება კაცი, რომ ნახოს, რა პატარა ტანისა არის აქაური საქონელი. ეს სულ უქმელობით, უთაღობით. მეწველის საქონელი აქ ცოტა ჰყოლიათ, ერბოს გაკეთება არა სცოდნით! ყველს ცოტას აკეთებენ; ცხვრის და ღორის შენახვა არა სცოდნით; სახოცი საქონელი სულ მრიალეთიდან მოჰყავთ; ერბო ახალციხიდან მოდის, პური მართლიდან. მთაისი იმერეთში პური ალაგ ალაგს კარგი მოდის მაგრამ ძვირათ სთესენ; ზოგი იმერლები ამას იმითი ხსნიან, რომ ჩვეულება არა გვაქვს, ზოგნი ამტკიცებენ, რომ აქ ნოტიო ადგილია და პური არ იწახება, ფუტკლებია. ხილი აქ კარგი მოდენილა და არ არის რომ ეს ცოტა ბლომათ იყო ბაზარში, ამის მიზეზი უთუოთ ის უნდა იყოს, რომ ხილის მოყვანას ბევრი ჯაფა არ უნდა, აქ ხილი თითქმის თავის თავათ მოდის. მურძენი და ღვინო, რომლითაც იმერეთი უწინ მდიდარი იყო, ეხლა ისიც აღარ მოდის; ასე ამბობენ ყურძენი წლევენიდან ახლად წამხდარია; ეს არის მიზეზი, რომ მთაისში ეხლა საშინელი სიძვირეა, მთაისის ქალაქში ბევრათ იაფია ცხვრება, ვინემ აქ. მთაისელები ამბობენ ეს სიძვირე მართა წელს ჩამოვარდა, ამისათვის, რომ მოსავალი კარგი არ მოვიდა და ბევრი ხალხი მოაწვა მთაისსა ამ ახალი სასამართლოების და რკინის გზის გამო. — მთაისელები საქმენი იმით არიან, რომ სწავლისა ძრიელ ნიჭი აქეთ და გულს მოდენით ელტვიან სწავლას; აქაური სასწავლებლები მთაისის ყმაწვილებით ღულს და გადმოდის; ჩვენდა სამწუხაროთ ადგილები აღარ არის და ბევრს ყმაწვილებს აბრუნებენ უკან. მთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც იმერეთს ბევრს წიგნის მცოდნეს ხალხსა სძენს, მართა ორმოცი მოწაფე იზრდება საეკლესიო ხარჯზედ, თუმც ღარიბი მოწაფეები ძრიელ ბევრნი არიან და სწავლის შეძენის საშუალება არა აქეთ; ოცობით და

ორმოცობით აბრუნებენ უკან სასწავლებლათ მოსულს ღარიბს ყმაწვილებს; აქ გარე შეგირდები ასე სცხოვრობენ: მოწაფეების მამებს აუშენებიათ სასწავლებლის მახლობლათ ორმოცზედ მეტი ფიცრულის სახლები, რომლებშიაც თითოში რამდენიმე მოწაფე ერთად სცხოვრებენ. ისინი მუდს თავის ხელით იცხოვებენ კეცებში, სადღოს, ვახშამს თვითონ იმზადებენ რიგრიგობით, ყველა სახლის საქირო საქმეს თვითონ აკეთებენ და ამასთან სწავლასაც ასწრობენ; უჭირავთ ხელში წიგნები და როცა კლასები გამოუვათ, ზოგნი ტყეში, ზოგნი მინდორში დადიან ან სხედან და კითხულობენ; გაკვირდება კაცი იმას ბეჯითობას; არა გვაჩივრებია ვერ აბრკოლებს იმთ სწავლაში. ამ მოწაფეებს ეხლა ასეთი კარგი მზრუნველი და განვითარებული მთავრობა და მასწავლებლები ჰყავთ, რომ ღმერთმა სხვა საქართველოს ზოგიერ ამ გვარ სასწავლებლებსაც მიანიჭოს ამათი მსგავსი ზედამხედველნი და მასწავლებელნი. მკვი აღარ უნდა განათლება ამათში კარგათ იმუშავენს დროს და შეძლების გვარათ; ნამეტნავათ თუ სემინარიაც გაუკეთეს. — შიშობლებიც არ ზოგვენ თავიანთს ცხოვრებას, რაც შეუძლიანთ შეიღებეს ხელს უმართვენ; ყველა მამა, თითქმის გლეხი კაციც კი, ძრიელ მონატრეა, თავისი შვილი სასწავლებელში გამოზარდას: შური და მიბაძვა ამ შემთხვევაში იქ ძრიელ კარგს საქმეს არიგებენ. — მთაისში და იმის მახრამში შეძლების გვარათ საქმათ იზოვებიან (ბევრათ ბლომათ, ვინემ სხვა საქართველოს მახრამში). მანათლებელნი პირნი ქართველები, რომელნიც თითქმის ზედ მიწვენით მიხედვიან განათლებას და მოაქეთ სარგებლობა მამულისათვის სიტყვით და ზოგს საქმითაც. მაგრამ არ შეიძლება ამასთან არა სთქვას კაცმა, რომ ის იმერლები, რომლებიც ნახევარ განათლების გზაზედ მისულან, ან იქამდინაც არა — და გაჩრებულან, ჯერ ჯერობით დიდათ უნაყოფო არიან საზოგადოებისთვის: ისინი მართა კონტაბაში, ფულების მომატებულს ხარჯვაში და უსაქმობაში ატარებენ დროს. უსწავლელს ძველს ხალხს ამითი მაინც მოაქეთ სარგებლობა, რომ შინაურს საქმეს აკეთებენ, იმდენს მაინც იქნენ, რომ თავიანთს თავს და ოჯახს როგორმე არჩენენ; ესენი კი სხვის შესანახენი არიან, წარსული დროს შეძენილს ქონებას სქამენ და მომავალს დროს, მომავალს შთამომავლობას ღეთის ანაბრობაზედ სტოვებენ. ეს ბოროტება არამც თუ აქ, მართლში და ძახეთში უფრო არის გავრცელებული. მის არ ახსოვს წარსული წლის გავითი „დროების“ ნომრები, რომლებშიაც სახაზინო განცხადებები იყო დაბეჭდილი ქართველების მამულების ტორგით გაყიდვაზედ ელაგებში, ვგონებ მესამედი აღარ დარჩა უვალო მამული!

მთაისის ბულვარი პატარა არის, მაგრამ რაც არის შემკობილია; ზაფხულის ცხელ დღეში სულ ჩრდილში შეგვიძლიანთ იარათ, მერე შიგ შუა ქალაქშია, სადაც ვაჭრობა, და ხალხის ყრილობა არის; აქედან შეგვიძლიანთ მთაისელი ხალხი და იმათი ყოფა ცხოვრება დაათვაირილოთ. ამ ბულვარში საკვირველი წერილი და მალალი ხეები არის; რომ კაცი დააკვირდეს კონტა მთაისელების ტანის მოყვანილებას, იმას ბევრი მგზავსება აქვს ამ ხეებთან *): იმათი ტანიც სწორეთ ასე მალალი, სწორე და წერილი არის; საკვირველი ერთ გვარი მოქმედება ჰქონია ბუნებას მკუნარებზედ და ცხოვრებზედ! აქ სასიეროთ უფრო გამოდიან ჩერქეზულათ მოკმაზული იმერლები; საკვირვალად უხდებათ იმათ ეს ტანსაცმელი; თითქმის უმეტესი ნაწილი გიმნა-

ზიელები და ზოგი სამსახურის კაცებიც ჩვეულებრივად ტანსაცმელს არ იზოვრებენ; მათსავე ტანსაცმელს და სამსახურში იმითი დადიან; წმინდა შალის ჩერქეზკა, შარვალი და ყაბაღანი ისე კარგათ აჩენს იმათ, რომ ღმერთმა შეარტხენოს იმასთან ინგლისური ან ფრანკული ტანსაცმელი; იმერელს გარეგანი ქცევა, სალამის მიცემა, მიხრა მოხრა, მეტყველობა ჰემპარიტად, რომ ძრიელ კეთილშობილური აქვს და უხდებათ; იმერელი თვითონვე გრძობს ამას და ამისთვის სულ თავის თავზედ იტკირებიან, შეატყობთ, რომ იმას თავის სიკობტაის მეტი არა ახსოვს და თითონვე ძრიელ მოსწონს თავისი თავი. მთაისელი ახალგაზრდა ქართულს კარგა ლაპარაკობს; ჯერ სულ ბევრი განსხვავება არა ყოფილა ქართულს და იმერულს ენაში და მერე რაც ყოფილა ესენი ცდილობენ მოსაპონ. ზაფხის „დროებას“ ენის გაუმჯობესებაზედ აქ კარგი განელენა ჰქონია. მხოლოდ ეს არის, რომ რადგან იმერელი ძრიელ აჩქარებული გულის პატრონი ყოფილა, ის უბრალო რამე სიტყვად, ან საქმეზედ ცვიფრდება, ჰკვირობს; რუსულათ ეოსკლიცანიებს, რომ ეტყვიან, ესენი იმის ლაპარაკში უზომოთ ბევრია. აქაურს ახალგაზრდას ლაპარაკში, რომ ყური უფლოთ, ბევრს პატროსან აზრებ გამოსთქვენ; ძველს დროსათ იმერეთს და მართლს არა ჰყოფენ; ქართლებზედ დაციონვას და აეს სიტყვას არ ამბობენ. — ამ ბულვარში ხშირად ნახავს კაცი ერთად შეგჯუფებულს უფლებებიდან ჩამოსულს კეთილშობილის ხალხს — ფაფანციბიანებს და ჩიბუხიანებს, რომლებშიაც ერევიან ხოლმე ძრიელ ზოგრა ტანადი კაცები, ნამეტნავათ სვანელები ძრიელ მოსული ხალხი ყოფილა.

ამ კეთილშობილს ხალხს, რომელიც უფრო ძველის ქცევისა და ჩვეულებისანი არიან, დიან მოსაწონი შეხეულობა და ლამაზი ლაპარაკი, ეგრეთვე სხვა გარეგანი ქცევა აქეთ, როგორც მე შეენიშნე. აქედან ბევრჯელ გამომიყვანია ის, რომ ძველი საქართველოს ხალხი ძრიელ ლაზათის მექონი იქნებოდა და მომავალში, როდესაც განათლებით, უფრო ლაზათიანი იქნებიან თუ ღმერთი შეგვეწვია და ჩვენც, მეცადინეობა არ დაეკლებთ. მთაისელი ქალები კი აგრე რიგათ არ გამოდიან ბულვარზედ, იმათ შინ სხდომა უფრო ჰყვარებიან, თუმც ამათაც ქართულ ქალებით მეტის მეტს ფრანკობასთან ჰყვარებიანთ უქმობა, რომელთანაც შეერთებული არის სხვა და სხვა დიდათ მანებელი მამულის და ოჯახისათვის მოქმედება.

როგორც სხვა ყველა საქართველოს ხალხს, ისე მთაისელებსაც ეტყობა გარეიდებით სარწმუნოებაზედ გული; ხალხი, რასაკვირველია უწინდელით გულს-მოდგინებით აღარ დადის წირვა-ლოცვაზედ და ვინც დაიარებიან, იმათაც აღარ ეტყობათ ჰემპარიტის ღეთისადმი მხურვალე გულით ღოცვა; ქართველების სიმაგრე და ყოველი ჰირიდან დამხსნელი. მთაისის ეკლესიებზედ მე უფრო მალლა ეფიქრობდი. მე ეფიქრობდი იქ ეიოვინდი ძველი მართველების ისე მოწონებულს და ნაქებს სარწმუნოების გარეგანს წესს. ეკლესიები ღარიბები არიან; ეკლესიის ზოგიერთი მსახურნი, თავიანთ ქართულს ძმებზედ მეტათ გულს მოდგინენ და განვითარებულნი თავიანთ საქმეში არ არიან. იმერული გაღობა უფრო კარგი მეგონა, მაინც კი სჯობიან ეხლანდელს ქართულს გაღობას. იმერული გაღობა კაცის გულს აგრე რიგათ არ იზიდავს იმისთვის უფრო, რომ მეტისმეტათ მალლა ამბობენ. — ჩვენი მთაისელი მართლმადიდებელი ხალხი ბედნიერი იმითი არის, რომ კარგი ეკლესიის წინამძღვარი ჰყავთ; ერთხელ ორჯელ მოვისმინე ქალაგება და შეენატრე ამ ხალხს, ესთქვი ნეტავი ზოგიერთ ალაგას საქართველოს ხალხსაც, ამათი მგზავსი წინა-

პარნი. „ბირჟის უწყებაში“ სწერია, რომ იმპერატორი ნაპოლეონი ამ ქამად სინჯავს ერთნაირს მოგონებას, რომელმაც უნდა დაასუსტოს ახალი მოგონილი თოფების მომამკვინებელი ძალა. ეს არის ნაბდის გვარი სამოხსელი, რომელსაც წებოს თვისება აქვს. ამ სამოხსელს გამოდარი აქვს რაღაც ნაირი შედგენილობა, რომელიც მოუგონია იტალიელს მურატორის. ამ ნაბადს ამზადებენ ღონიერი მანქანებით და ჩამოასხმენ ხოლმე ფორმათ, თითქმის გაღებელი ლითონი, ან სანთელი იყოს. როცა გახმება, ფოლადივით მაგარია. ტყვია შიგ ვერ გატანს; მასპოს ტყვია გატანს, თუ ახლოს ესროლა, მაგრამ მაინც ძალიან დაასუსტებს იმის ძალას, — ისე რომ ხორცში ღრმად ვეღარ შედის. შუბი და რვეოლევირ ჰკრეს ახლოს ამ ნაბდის პერანგს, მაგრამ ვერა უყორა. შევლაზე უადრესი მნიშვნელობა იმას აქვს ფლოტისათვის. ნაბდის ჩაჩქანი ერთი რომ ძალიან მჩატეა და მერე რომ ოთხჯერ უფრო იფთხა ფოლადზე. ამას გარდა იმითია კარგი, რომ ტყვია როგორც ხ.ს. ისე ვერ შეხვრეტს იმას. ზახერეტის შემდეგ რეზინასავით ისევე შეხვრეტდება.

ტელეგრაფები.

(პეტერბურგში მიღებული)

პარნი, 8 (20) ოკტომბერს. ზაფხითში Constitutionnel დაბეჭდილია სტატია, სადაც აცხადებენ, რომ რუმინის და რუსეთის კავშირი მენგრის წინააღმდეგ არ უნდა იყოს დასაჯერი. რუსის მთავრობა არაჩი წინადადებდა და ამისთვის ყველაზე ბოლოს მისცემს შეწყვენას იმ არ ულობას, რომელსაც განზრახვაში ექმნება ავსტრიისა და ოსმალეთის დამხობა. რუმინის მოთავე კაცები ასეთ გაჭირებას გამოცდიან მნგრისაგან, რომ დიდხანს აღარ მოუთა სურვილი აღრეულობის მოხდენისა. ამისთვის ამ მხოთი მერობის მშვიდობიანობას არა შეარყევსრა.

ზაფხის საგენტო გეაცნობებს, რომ შრანტუზის მთავრობა თანახმა იზაბელლას უფროსის შვილის გამეფებაზე ისპანიაში და სრულებით წინააღმდეგია პრინცი ნაპოლეონის გამეფებაზე და ან რესპუბლიკის დაარსებაზე.

9 (21) ოკტომბერს. ზუშინ პრუსიის მემკვიდრე პრინცის მელდელმ სენ-პლუში ნახა იმპერატორი ნაპოლეონი და იმპერატრიცა ევეგენია. იმათ მაშინვე გადაუხადეს მაგიერი ვიზიტი ლუერის სასტუმროში.

ზაფხითი France-ში დაბეჭდილია სტატია სახელად „მერობა და ომიანობა“. ამ სტატიაში დამწერი ამტკიცებს, რომ მერობაში სახელმწიფოები ყველანი მრუდეს თვლით იტკირებიან და არიან შეწყუხებულნი, მაგრამ ომი კი არ არის იმისთანა საშუალება, რომ იხსნას ამისთანა მდგომარეობიდან.

მადრიდი, 8 (20) ოკტომბერს. ღღეს ისპანიის მთავრობის მანიფესტი გამოვიდა. იმასში ახსნილია ბურბონების გაყრის საბუთები და ამბობენ, რომ ისპანიის ხალხმა უნდა მოიბრუნოს დაკარგული დრო აქამომდე და ხალხის უზენაესმა უფლებამ უნდა დაამტკიცოს იმისგან მოპოებული თავისუფლება. მანიფესტში ახსნილია, რომ კარგი იქნება, დამკვიდრდეს თავისუფლებითი აღსარება სარწმუნოებათა, წარმოთქმულია, რომ ყველა სახელმწიფოებთან მშვიდობიანობას დაეჭვიროთ და რვეოლუტიაც კანონიერათ ჩაითვლებო.

9 (21) ოკტომბერს. მადრიდისა და მახრების იუნტები დაიშალა.

*) ამ შედარებისათვის ფიგურა, არაინ დამძახავს. რუსეთის მეფის ტყაოსანი ამ გვარი შედარებათ სავსეა.

მდომარეობა და დამორჩევლობა ჰყვანდით თქო.
 შრანგებს ჰქონათ კარგი ეკლესია მუთა-
 ისში, თლილის ქვით არის ნაშენი საუცხო-
 ვოთ არის შიგნით მოწყობილი; სხვა და სხვა
 სამძღვარს გარეთ ნაკეთები ნივთები, ეკლეს-
 სისათვის საჭირო, თანხებზედ შემოუჭრი-
 ებიანთ ლაზთისათვის, მუთისელი ფრანგები,
 რომელთაც შვედრამით უწოდებენ ფრანგებს,
 რადგანაც ისინი სულ ქართველები არიან და
 მხოლოდ რომის ეკლესიის აღმასრებელი
 არიან, — უფრო სარწმუნოების ერთგულნი
 ყოფილან, წირვა ლოცვებზედ არ აკლდებიან,
 ეკლესია ხალხით სავსეა ხოლმე. პირველათ,
 რომ შევედო მე ფრანგების ეკლესიაში და
 ხალხი დავათვარიედე, ვერაძენ, რომ ეს ხალ-
 ხი თავით ბოლომდინ წმინდა ქართველები
 არიანთქო და ვილასაც მცემთომით მოუგონია
 თავდაპირველათ ამათი ფრანგებთან წოდება.
 ჩაცმა, დახურვა, ქცევა, პირისსახე, ტანის მო-
 ყვანილება, ქცევა ისეთი აქეთ, რომ ქართვე-
 ლების წარმომადგენლად შეიძლება იყვნენ.
 ძალეებს — ოჯახს და ოჯახს ცალკალკე, ძირს
 ხალხი გაეშალათ და ზედ ისხდნენ, ქართუ-
 ლათ თავდახურულები იყვნენ; და ზოგი ქა-
 ლები ისე შეწოდდნენ ქართულს ტანისა მო-
 სში, რომ ამაზედ უკეთესი ქალის მოსახდენი
 ტანთსაცმელი აღარად იქნებოდა, ასე იტყო-
 დით; მერე აქაური ფრანგები მდიდრები ყო-
 ფილან, რადგან ვაჭარი ხალხია, და ერთი ვე-
 რა ენახე იმათში, რომ ღარიბულათ ყოფი-
 ლიყვან ჩაცმული. ძაცებს ქართული ყოშები-
 ანი კაბები ეცოთ; ეს შესანიშნავია, რომ მა-
 შინ როდესაც აქ იმერლები უფრო ჩერქე-
 ზულს ტანთ საცმელ იცოშენ, ფრანგები და
 ურები, კი წმინდა ქართული ტანთ საცმე-
 ლით არიან: კაბას და კალმუხის — ან ბუხრის
 ქუდს თავიდგან და ტანიდგან არ იშორებენ.
 შწირველი ერთი ხალგაზდა პატრი იყო, დი-
 დის ცერემონიებით სწირავდა, არ უნდოდა
 კაცს იმისთვის თვალი მოეშორებინა, იმას
 წირვის დროს გვერთ ორი თუ სამი პატარა
 ყმაწვილები უდგნენ ეკლესიის ტანთსაცმე-
 ლით მოსილნი; გამოაცა იმათმა ლეთისნიერე-
 ბამ, სულ გულში იცემდნენ ხელს, მალიმალ
 მოიყრიდნენ მუხს და შემდეგ პატრს რამ-
 დენჯერზე დაუკრავდნენ თავს. მალბასაც
 არა უჭირდარა, მაგრამ ნოტებზე გალობას
 არა გვანდა იმათი გალობა. მაეიგონი, რომ ერთ-
 მა პატარა ყმაწვილმა სამოციქულო ქართულს
 ენაზედ წაიკითხა და კილოც ქართული იყო.
 ძაცები წირვის დროს სკამებზედ ისხდნენ,
 სასწავლებელში რომ პარტიები არის ხოლმე,
 ისეთი სკამები ედგათ, მეც კაცებთან ჩამო-
 ჯექ და ერთს ვაჭარს ფრანგს ვკითხე: ქართუ-
 ლს ენაზედ კი არ არის მეთქი წირვა-ლოცვა;
 ვაჭარმა მომიგო: „არა არას დროსა“ თით-
 ქოს, რომ სასიქალულოთ მიიჩნდა იმას ლა-
 თინურს ენაზედ წირვა-ლოცვა, ცხადათ კი
 ეტყობოდა, რომ იმას ლათინური ენა არ ეს-
 მოდა და რაღაც ლოცვას, ქართულს ენაზედ
 ნაწერს, კითხულობდა. ამ ეკლესიის გალა-
 ვანში ფრანგებს ყმაწვილების სასწავლებელი
 აქეთ და რამდენსამე, ოცს ქართველს — ფრა-
 ნგს ყმაწვილს ზრდის; მუთისელი ქართვე-
 ლი-ფრანგები ძრიელ მიტაცებულნი არიან იმ
 სასწავლებლით ასე, რომ გიმნაზიაში კი არ
 აძლევენ ყმაწვილებს და იქ კი დიდათ მო-
 ნატრენი არიან მისცენ. მე ჩემის თვალით
 ყოველდღე ვუყურებ ხოლმე, რომ დღემი
 ხუთჯერ მეტათ შეიყვანენ და გაიყვანენ ერ-
 თად დამწკრივებულს ყმაწვილებს ეკლესიაში.

პრაგველი.
 1868 წელსა, 17 ოქტომბერს.
 მ. მუთისი.
 საპოლიტიკო და საზოგადო მდგო-
 მარება სერბიისა.
 I.
 იმისის 10-ში ბელგრადში ხმა იყო პრინ-
 ცი ნაპოლეონის მოხელისა სერბიის სატახტო

ქალაქში მიხელი III, მზენის ძე სერბიის
 მფლობელი, ემზადებოდა დიდებით მიგებებოდა
 სახელმწიფო სტუმარსა, რომლისაგანაც სურდა
 გავეო რამ სასიამოვნო სერბიისათვის. 12 სა-
 ათს შემდეგ შეიარა თავის ბიძის ქალთან ან-
 ნა პონსტანტინის ასულთან და იმის ქალ-
 თან, რომლებიც წამოიყვანა თანა და წავიდ-
 ნენ ერთს პატარა ტყეში, რომელსაც ჰქვია
 ტოპილდრე. მ.ნ მხლებელი მაგთენი არა-
 ენა ჰყვანდა: თითონ ეჭირა ხელში მხოლოდ
 წველა და იმის აღუტანტს ეკრა ხმალი. მსე-
 ნი ორად გაიყენენ და რომ შევიდნენ ტყის
 შუაგულში, ამ დროს გამოჩნდნენ რაღაც სა-
 იკო ხალხნი. მრამ მოუარა მიხელის მარცხ-
 ნით და ერთმა მარჯვით; მეოთხე, რომელ-
 საც იცნობდა თავადი, დაიმალა ტყეში. ამათ
 ჯერ პატივი სცეს მიხელსა და თავი დაუკ-
 რეს, მაგრამ როდესაც ამან მიხედა მარჯე-
 ნიე მარცხნივდგან ესროლეს რევოლვერი და
 დასტრეს ზურგში; შემდეგ განხიდა სროლა
 და დაიწყეს ხოცვა. ანნა მივარდა ერთს მკე-
 ლელსა, მაგრამ დეცა მკედარი. იმისი ქალი
 დასტრეს კისერში ორ ალაგას და მუცელში;
 მაგრამ მაინც გამოიქცა და მიენდო ერთს
 გოგს კაცს მკლავზედ. მკვლელები მისციე-
 დნენ დახოცილებს გაცოფებულნი და ძალი-
 ან დაასახიჩრეს, ასე რომ ძელიც კი მთელი
 არ დააგდეს.
 მიხელი მოჰკლეს შარა შიორგის ალექ-
 სანდრეს განზრახვებითა, რომელთაც სურ-
 დათ მზენის შეილების ამოწყვეტა. პირო-
 ბა ჰქონდათ შეკრული მიხელის მოკლავზედ
 ალექსანდრეს ცოლსა პერსიდასა, ძმებს, სი-
 ძებს და იმის მომხრეებსა. მოკვლის ამბავი
 რომ შეიტყო ხალხმა და იმისი გარემოება,
 მაშინვე მოითხოვა, რომ შარა-შიორგის გე-
 როვნობა გაჰყარონ იმ მხარედან და საყდ-
 რიდგან. მართლდაც სამღვდლოებამ საუც-
 ხოვოდ ასრულა ეს თხოვნა და დასწყველა
 შარა-შიორგის ჩამომავლობა ბროცკოში.
 სამხედრო მინისტრმა მილაგოი ბლანოვა-
 ცმა რამდენიმე საათში დაიჭირა მკვლელების
 მოთავენი; ეინც უნდა ყოფილიყო, თუნდა დიდი
 თანამდებობის პატრონი, მაშინვე აქტირებდა და
 მხარეს მისცა სამხედრო მდგომარება; დანიშნა
 ხალხის ყრილობა ერთს თვეზედ და ჯარს უთ-
 ხრა ამოაჩიონ მიხელის მეძვიდრე. აღ-
 მოჩნდნენ რამდენიმე მოხონველნი.
 აქ იყო შარა-შიორგის გერისანი, რომელ-
 თაგანიც მიხევედნენ თავიანთ წადილსა; ეს
 დრო რომ არა ყოფილიყო, ამიტომ რომ ამა-
 თი წინაპირი იყო პირველი დაწყება განთა-
 ვისუფლებზედ, ომის დაწყები და მხარეში-
 აც კარგი ნათესაობა ჰყვანდათ. მაგრამ ახლა
 კი ბელგრადში რომ ხელში ჩაეგდოთ ესენი,
 სახრხოებელს უფრო მალე იშოვნდნენ ვიდრე
 ტახტსა. წამოაყენეს აგრეთვე ნიკიტა ჩერ-
 ნოვარისი თავადი. ამ თავადების ქალი მიხე-
 ელმა მონათლა 1864-ში და ამ დროდგან
 სულ ფიქრობდა ხალხი სერბიისა და ჩერნო-
 ვარისის შეერთებასა.
 მიხელის ცოლი იულია ფიქრობდა რეგენ-
 ტობაზედ, როგორც მზრუნველი ბიძაშვილი-
 სა, მაგრამ თითონ ქმართანაც ნახუბი იყო,
 რადგანაც იქვე ჰქონდა ანნა პონსტანტინის
 ასულზედ, რომელსაც დიდი განელენა ჰქონ-
 და მიხელზედაც და მმართველობაზედაც, და
 ხალხიც კარგის თვალთ არ უყურებდა, ამი-
 ტომ იულიამ ვერა გააწყრა რა. რადგანაც რუ-
 მინის პარტიამ წარმოადგინა გოგენცოლი-
 რის პრინცი კანდიდატათა, ამიტომ იულიას
 სწავლა რუსეთთან შეერთება. მაგრამ ღონე
 მოძრაობისა არის დამოკიდებული ხალხის წა-
 დილზედ, რომელიც ინსტიტუტთა გრძნობს,
 რომ სრულდებით უცხო ხალხთან მიხდება არის
 თავისი ხელით სიკვდილი. ხალხი გრძნობს,
 რომ სერბიამ თუ მოინდომა თავიზედ მომა-
 ტებული ხალხის ჩაყლაპვა, თითონ უწინ ჩა-

იყლაპება, ამიტომ უფრო, რომ რუმინებსა და
 სერბებს შუა არაფერი მსგავსება არა არის რა.
 რუმინები ეჯავრებათ სერბებსა და ეძახიან
 მშაზრებსა, ცბიერებსა და გარყენილებსა.
 ერთს პარტიას, რომელმაც თავისი მომხ-
 რეები იშოვნა მ. მ. ლ. დ. ი. ა. შ. (ახალგაზ-
 დებში), ჰსურდა გაეთავებინა მრბენისა და
 შარაგოვარგის ძეთა ჩამომავლობასთან, რო-
 მელთაც ერთმანეთში ჰქონდათ შური; აგრეთ-
 ვე ყოველ რუმინისა, ჩორნავორისა და სხვა
 ყოველი უცხო ქვეყნების წარმომადგენლებ-
 თანა ამ პარტიას ჰსურდა ენახა სერბიის რეს-
 პუბლიკის თავსმჯდომლად გარეშე ქვეყნების
 მინისტერი ბარაშანი, რომელსაც ეს თანა-
 მდებობა ეჭირა მიხელის დროსა. ეს ყოფა-
 ლიან გამოცდილი და ნიკიანი კაცი მთელს
 მხარეში და დიდი განელენა ჰქონდა სერ-
 ბიაში რეფორმების დროსა.
 მაგრამ ჩვენ ჯერ არა ვსთქვით რა არის
 მ. მ. ლ. დ. ი. ა. შ. რადგანაც სერბიაში არ არის
 უნივერსიტეტი, ამიტომ იქაური ახალგაზდები
 იზდებიან სახელმწიფო ხარჯით სხვა მხრის
 უნივერსიტეტებში, მომატებით მენაში გეი-
 დელბერგში და პარიჟში. ამ ახალგაზდებს
 დაუწესებიათ უნივერსიტეტებში თავიანთი კა-
 მიტეტები სხვა და სხვა სახელებითა. ამ კამი-
 ტეტებს აქვთ განზრახვა გამართონ თავიან-
 თი მწვერნი მეცნიერებაში და ლიტერატუ-
 რაში. მსენი ყოველ წელსა ჰმეტყვენ წიგნებ-
 სა, რომელნიც შეიცვენ პატრიოტულს მო-
 თხრობებსა და მკოდინარობის სტატიებსა,
 რომელნიც წაუჭიხებთ კამიტეტში მთელი
 წლის გამამაელობაში. როდესაც თავიანთ სა-
 მშობლოში ბრუნდებიან დათხოვნის დროსა,
 სერბნი ადვენენ შუაგულის სტუდენტების ას-
 სოციაციასა, ომლიდინასა, ახალგაზდობასა. ეს
 არის კონგრესი, სადაც იშინჯება მთელი
 წლის შრომა სხვა და სხვა კამიტეტებისა; ამი-
 თი რასაკვირველია დაიცევა მოაზრობის და
 შედგენილობის სიმთელი.
 ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მომატე-
 ბული ნაწილი მმლადინისა არიან რესპუბ-
 ლიკელები. მმლადინა აღტაცებულია სერბი-
 ის ყრილობის იდეითა, და ამიტომ ბოლოს
 დროს გამოიჩინა უკმაყოფილება თავადს მი-
 ხელიზედ, რომელსაც ამტყუნებდა სიმძიმეზედ,
 სისუსტეზედ და გაუბედაობაზედ აღმოსავლე-
 თის საქმეებში; ჯავრობდნენ იმაზედა, რომ
 იმან მოინდომა სერბიის მისცეს მედიერი წყო-
 ბილობა და არ კი წაიყვანა ჯერე ნორჩი სა-
 ხელმწიფო რაღაცა გმირულს საქმეებზედა.
 შევლას აზრი მფლობელობაზედ წახდა;
 მხოლოდ მიხელის ძმის წულმა მიღან მმრ-
 ენოვიჩის ძემ მოიგო საქმე. მილანი მიხელის
 სიკვდილის უმაღლესე ამოიჩიოვა ჯარმა, რომ-
 მელსაც ეწოდა მმრენოვიჩი IV. მილანი მი-
 ხელის ჰყვანდა აყვანილი შეილადა და იყო
 უკანასკნელი წარმომადგენი მმრენოვიჩი ძეთ
 ჩამომავლობისა; ეს ჩამომავლობა სკუბტინამ
 განხდა მეფეთა დინასტიად. მილანი იყო ექვ-
 სი კვირის წინ პარიჟის კოლეგის შეგირდი,
 როდესაც ამოიჩიოეს მფლობელადა. არ ვი-
 ცით ახლა როგორია, თორემ ამის წინ ცამე-
 ტის წლის ყმაწვილს ჰქონდა განსნილი პი-
 რისახე, სასიამოვნო ხმა და ბაშვი კეთილ-
 შობილი პატრიოტი იყო.
 სკუბტინამ ერთგულის თანახმობით ამოი-
 ჩია მილანი და მაშინვე გაუზუნა დეპუტა-
 ცია. არ ვიცი ემინოდათ თუ რა, მილანს პა-
 რიჟიდგანევი ორი ჟანდარმი მოსდევდა მცე-
 ლად, რომელნიც ყოველ სახელმწიფოში იც-
 ვლებოდნენ, ვიდრე ბუნარესტადინ მოვი-
 დოდა. ახლა ის ნაკურთხიც არის მთავრობაზე.
 მილანმა დასლა პირობა გააბედნიეროს თა-
 ვისი ხალხი, რომლის სიტყვებს დაჰყვა ხალ-
 ხისაგან დღეგრძელობა და ზარბაზნების სრო-
 ლა; თავის ბოშეურ თავზედ დაიდგა ჯარის
 წინამძღოლის კასკა და შემოიჭრა ხმალი თა-
 ვისი პაპისა მილოშისა.

შეწვილი ჩავარდა აღმოსავლეთის უწყვე-
 ებისა, პარტიებისა, სახლობისა და სხვა-
 ბის მტრობასა შუა, რომელთაც სერბიის მი-
 ამიზუნეს ამოდენი დანაკლისი. სრულდით
 არიან ამოწყვეტილი შარაგოვარგისა და ნე-
 ველის ჩამომავლობა, თუ არა — ამას გამოაჩენს
 შემდეგი.
 II.
 სერბია მდებარეობს მენგრის პირდაპირ,
 ცოლიდგანაც განიყოფება ლუნათა. იმისი
 ტახტის ქალაქი ბელგრადი სდგას სადაც ერ-
 თდებიან სამი დიდორნი მდინარენი: ტისა, სა-
 ვა და ლუნათა. პესტრისა და ოსმალოს ზედ
 შუა გზაზედ. ზედ გადადის რკინის გზები,
 რომლებიც მოკმედებენ ადრიატისა და შავი
 ზღვის შუა. სერბია განიყოფება ორ ნაწილად:
 ზემო სერბია არის მთიანი, რომელსაც
 სდგას ხშირი ტყე; მვემო სერბიაში არიან
 მხოლოდ წვილი გორები, რომელნიც სდის
 ეზსა, სიმინდსა და ხორბალსა. შუა ამ ორის
 ნაწილისა გაკმულია მთა შუმილია; აქ უფრო
 ძალიან ხშირი და სხელი ტყე არის, რომელ-
 ციც აალოან გამოადგა სერბებს 1814-დგან
 1817 თავასუფლებაზედ ომში. აქ ყოველი
 ხე, როგორც ხალხის სიმღერებში ითქმება,
 „გახდა მამორად“. ახლა კი ეს ტყე ჰყვებას
 მრავლ ღორის ფარებას, რომელნიც შეად-
 გენს ამ მხრის სიმღერასა.
 ამ მხარეში მცხოვრებნი არ არიან ხშირნი,
 ასე რომ რიცხვი მცხოვრებთა 1,200,000 მე-
 ტი არ არის. სატახტო ქალაქში ბელგრადში
 სცხოვრებენ 20,000 პირნი. სერბიის სხვა
 ქალაქები, რიცხვად 38, უფრო სოფელსა ჰგ-
 ენან, ვიდრე ქალაქებსა. შევლად დიდს ქა-
 ლაქში 5,000 მცხოვრები არის, და სხვა ქა-
 ლაქებში ათასიც სრული არ არის. სერბიის
 მცხოვრებნი ხალვათად ცხოვრებენ თავიანთ
 მიწაზედ, რომლისა შემუშავებულია მხოლოდ
 მერე ნაწილი.
 ეს არის კარგი, რომ სერბიაში მცხოვრებ-
 თაგან 85 ნაწილი სულ ერთ ხალხსა და სა-
 რწმუნობას ეკუთვნის. წინაჩინი 15 ნაწი-
 ლი შესდგება მწყემსები ვალახებისაგან, ბო-
 შებისა, ურებისა და თათრებისაგან.
 სერბები არიან მართლმადიდებელი სარწმუ-
 ნოებისა. მიტროპოლიტი და სამი ეპისკოპო-
 ში შეადგენენ სინოდსა, რომელიც ნიშნავს
 მღვდლებსა, მფლობელოს დაკითხვითა. პონ-
 სისტორია არჩევს ქორწინებისა და ვაშების
 საქმეებსა. მიტროპოლიტს, სამს ეპისკოპოზს
 და 20 დეკანოზს ეძლევათ ჯამაგირი მმართვე-
 ბლობისაგან; მხოლოდ 60 მღვდელი და 120
 ბერი ცხოვრობენ საეკლესიო მამულებიდა-
 ნა და შემოსავლითა.
 იქაური მღვდლები უკოდნელები არიან;
 გარდა ამისა ამაო მარწმუნენი და სმის მი-
 ყოლინი, თავიანთ შრომისათვის, რომელთაგან-
 ნაც სისრულით არ ერჩევიან არც სწავლითა
 და არც ტანთ საცმელითა. სერბიაში მღვდ-
 ლობა ძალიან ადვილია, ასე რომ ყველას შე-
 უძლიან განხის მღვდლათა, თუ წერა და კით-
 ხნა იცის. მართლ-მადიდებლობის ეკლესია
 სერბიაში ძალიან მშვიდი არის, და არცა სდევ-
 ენიის სხვა სარწმუნოებასა. აქ მხოლოდ სდევ-
 ნიან თათრის სარწმუნოებასა, ისიც პოლიტი-
 კურის მიზეზებისა გამო.
 სერბიის 100 მცხოვრებზედ 12 მოსწავლე
 მიღის, როდესაც თუშცა შრანციაში ათასში
 ასი მოსწავლე არის და კიდევ ხალხი არ არის
 მაგდენად განათლებული. მასწავლებელნიც
 ცოტანი არიან; მასწავლებელი ქალები ხომ
 სრულდით არც კი იციან რა არის. იქაური
 ახალგაზდები, როგორც ზევით ვსთქვით მი-
 ლან უცხო ქვეყნებში სასწავლებლად; ეს
 ამითი არის კარგი, რომ ახალგაზდები სწავ-
 ლასთან უცხო ქვეყნის ხალხსა და წესებს ხე-
 დენ თვალთა.
 ხალხის განათლებისათვის სერბია ხარჯავს
 სამ მილიონამდინ. რომელიც შეადგენს ყო-
 ველი შემოსავლის მეთათეს ნაწილსა.
 რადგანაც ხალხის განათლებას გრძნობ-
 ულს, ვაჭრობისა და ხელოვნობის წარმატებას
 კარგათ შეეიტყობთ, როდესაც დათვლით მი-
 ნაწერსა და მიღებულს წიგნებსა, ამიტომ გნახობ-
 ეს საქმე როგორ არის სერბიაში. 1856-ში
 სერბის კანტონებში გაიარა 100,000-მა წიგნ-
 მა, მხოლოდ 1863 444,000-მა, მაგრამ მაინც
 თითო მცხოვრებზედ ნახევარ წიგნზედ მეტ
 არ მოდის, რომელიც თექვსმეტჯერ ნაკლებ
 ბია, ვიდრე შრანციაში. შრანციაში ამ მხრი-
 უკანა სდგას, რომელსაც ძალიან სჯობნიან
 ანგლია და ამერიკა.
 სასამართლოებში ირჩევა ყოველ წელს
 2,000 უგოლოვნის, და 24,000 სამოქალაქ
 საქმე; ასე რომ ახლა 4% ხალხისა დავაში არიან
 რადგანაც სერბიაში ქორწინება არ აძ-
 ლეით მომატებულს ხარჯსა და არც მომატე-
 ბული ეკლესიის ცერემონიები უნდა, ამიტომ
 იქ ნაბიჭვრები ხუთჯერ ნაკლებნი არიან, ვი-
 დრე შრანციაში. შეილების ზოცვა სრულდ-
 ბით არ იციან რა არის. მთვის-მოკლაც ცო-
 ტა არის — წელიწადში 200-მდინ; რომელიც
 აგრეთვე მოწმობს, რომ სერბიაში ჯერ ცო-
 ვილიზაცია არ გავრცელებულია.